შპს „აი ტი გრუპის" 31 დეკემბრით დასრულებული 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021	შენიშვნა
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1 359 969	568 901	827 801	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	1 393 703	1 662 958	871 584	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	4 367	2 400	2 400	3.3
მარაგები				
- მზა პროდუქცია				
- სხვა				
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	26 190	191	136	3.4
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2 062	3 200	3 490	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	**2 786 291**	**2 237 650**	**1 705 411**	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	700484	674083	547439	3.6
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	1 419	15		
საგადასახადო ვალდებულებები	54038	36858	19397	3.7
გამოუმუშავებელი შემოსავალი	218 107	87 183	32 654	3.8
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	**974 048**	**798 139**	**599 490**	
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 812 243	1 439 511	1 105 921	3.9
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	**1 812 243**	**1 439 511**	**1 105 921**	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**2 786 291**	**2 237 650**	**1 705 411**	

შპს „აი ტი გრუპ“-ის დირექტორი — გიორგი წიკლაური

შპს „აი ტი გრუპ“-ის ბუღალტერი — ნონა ისაგულოვა

"IT GROUP" Ltd * 405001894 * შპს "აი ტი ჯგუფი"

საქმიანობის შედეგები

	2023 წელი	2022 წელი	შენიშვნებ
ნეტო ამონაგები	**29 807 134**	**26 453 970**	
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან	29 798 472	26 447 454	3.10
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	8 662	6 516	3.10
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**(22 149)**	**(31 069)**	3.10
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა	22 149	(31 069)	3.10
გადამუშავების დანახარჯები	(22 149)		
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება	**29 784 985**	**26 422 901**	
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	(580 900)	(552 651)	3.11
ცვეთა და ამორტიზაცია	(1 137)	(1 570)	3.11
საპროცენტო შემოსავალი:	18 153	12 888	3.11
საპროცენტო ხარჯი :			
იჯარის ხარჯი	(24 407)	(24 407)	3.11
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(25 943 627)	(23 801 345)	3.11
სულ საოპერაციო ხარჯები	**(26 531 918)**	**(24 367 085)**	
საოპერაციო მოგება	**3 253 067**	**2 055 816**	
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	46 530	(100 094)	3.13
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(29 032)	18 735	3.12
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერ.	**3 270 565**	**1 974 457**	
მოგების გადასახადი	(434 675)	(246 130)	3.14
მოგება/(ზარალი)	**2 835 890**	**1 728 327**	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**2 835 890**	**1 728 327**	
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	**1 439 511**	**1 105 921**	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(2 463 158)	(1 394 737)	3.14
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**1 812 243**	**1 439 511**	

შპს „აი ტი გრუპ“-ის დირექტორი
შპს „აი ტი გრუპ“-ის ბუღალტერი

გიორგი წიკლაური
ნონა ისაგულოვა

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
1. ზოგადი ნაწილი

1.1. **შპს „აი ტი გრუპ“** (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 22 ივლისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 405001894 , იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, საბურთალოს ქ., N 43. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია გიორგი წიკლაური (პ.ნ.01024036689).

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი წიკლაური (პ.ნ.01024036689).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები, სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებული მომსახურება, საზღვაო და საკაბოტაჟო სატვირთო ტრანსპორტი, გადაზიდვის მომსახურება, სატვირთო საგზაო ტრანსპორტი.

1.5. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს **მსს ფასს**-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას

მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კავშირგაბმულობის მოწყობილობები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობა - 5 წელი;

ოფისის აღჭურვილობა კომპ. ტექნიკის გარდა - 5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 5 წელი;

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 6-7 წელი;

1000 ლარზე ნაკლები ღირებულების ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

2023 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		24	
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1353124	568867	827793
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	1	9	8
ევროები საბანკო ანგარიშებზე	6844	1	
სულ:	**1359969**	**568901**	**827801**

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტების მომსახურებიდან	1342825	1589694	800540
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტების მომსახურებიდან	50878	73264	71044
სულ:	**1393703**	**1662958**	**871584**

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საეჭვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნებიდან, მხოლოდ 5 არის საქართველოს არარეზიდენტი იურიდიული პირი.

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4367	2400	2400
სულ:	**4367**	**2400**	**2400**

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	26190	191	136
სულ:	26190	191	136

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	2023 წელი ზრდა ან შემცირება	2023 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	1			1		-452	453
ოფისის მოწყობილობები კომპიუტერული ტექნიკის გარდა	839		-335	1174		-335	1509
კომპ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობ-ები	1174		-561	1735	1280	-470	925
ავეჯი	48		-117	165		-117	282
1000 ლარზე ნაკლები ღირებულების ძირითადი საშუალებები	0		-125	125		-196	321
სულ:	2062	0	-1138	3200	1280	-1570	3490

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	231049	179678	438337
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	469435	494405	109102
სულ:	700484	674083	547439

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 10 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 6 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე (საპენსიო ფონდი)	1419	15	
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	54038	36858	19397
სულ:	**55457**	**36858**	**19397**

54038 ლარს შეადგენს დეკემბრის თვეში გადახდილი გადასახადები, რომლებიც დადეკლარირებული იქნა 2024 წლის 15 იანვრისთვის.

3.8. სხვა ვალდებულებები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სხვა ვალდებულებები (მიღებული ავანსები)	218107	87183	32654
სულ:	**218107**	**87183**	**32654**

31.12.2023 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 4 რეზიდენტი დებიტორისგან მიღებული ავანსები, რომელზეც გაწეული იქნა მომსახურება 2024 წელს.

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
გაუნაწილებელი მოგება	1812243	1439511	1105921
სულ:	**1812243**	**1439511**	**1105921**

კომპანიის 2023 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2023 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2023 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან.

	2023 წელი	2022 წელი
საერთაშორისო გადაზიდვებზე გაწეული მომსახურებიდან შემოსავალი	29798472	26447454
სხვა შემოსავალი	8662	6516
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-22149	-31069
სულ:	**29784985**	**26422901**

ძირითადი შემოსავალი რეალიზაციიდან არის მიღებული მომსახურებიდან. სხვა შემოსავალი წარმოადგენს საქონლის რეალიზაციას.

3.11. სხვა შემოსავლები და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	-574118	-548233
გადასახადი საპენსიო ფონდში ხელფასებიდან	-6782	-4418
ცვეთა და ამორტიზაცია	-1137	-1570
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	18153	12888
იჯარის ხარჯები	-24407	-24407
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	-26	-43
ტვირთის გადაზიდვის მომსახურების ხარჯი	-25901100	-23736158
ტვირთის დაზღვევის და სხვა მიწოდების ხარჯები	-12339	-16229
საკომუნიკაციო ხარჯები	-8972	-9096
საბანკო ხარჯები	-7107	-6765
საბანკო ხარჯები კონვერტაციის დროს	3177	-10339
კომპიუტერის ხარჯები	-1284	-1670
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-15974	-18048
სულ:	**-26531916**	**-24364088**

3.12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

	2023 წელი	2022 წელი
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	23592	21594
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-52625	-5856
სულ:	**-29033**	**15738**

3.13. წმინდა შემოსაულობა/დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან

	2023 წელი	2022 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	122618	244232
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-76089	-344326
სულ:	**46529**	**-100094**

3.14. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2023 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2022-2023 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის" შესაბამისად) 2023 წელს.

	2023 წელი	2022 წელი
გაცემული დივიდენდები 2020 წლის	-2463158	-1394737
გაცემულ დივიდენდებზე გადახდილი მოგების გადასახადი	-434675	-246130
სულ:	**-2897833**	**-1640867**

3.15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 10 ივლისს.